

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №02

2014 წლის 22 ივლისი

ქ. თბილისი

**„ზღვეველის სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებისა და მათი სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2013 წლის 24 დეკემბრის №03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 2013 წლის 02 მაისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №102-ის თანახმად დამტკიცებული სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის და ამავე დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„ზღვეველის სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებისა და მათი სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2013 წლის 24 დეკემბრის №03 ბრძანებით დამტკიცებულ დანართ 2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ფორმა 13 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ფორმა 13

**შეზღუდვები "ინვესტირებისათვის განკუთვნილი სადაზღვევო რეზერვების ჯამური ოდენობის" განთავსების მიმართ**

კომპანიის დასახელება: \_\_\_\_\_

საანგარიშო თარიღი: \_\_\_\_\_

ლარი

აქტის კოდი	ინვესტირებისათვის დასაშვები ოდენობა	თითოეულ ობიექტში განზორციელებული ინვესტიციის დასაშვები ოდენობა	ინვესტირებას დაქვემდებარებული მინიმალური ოდენობა
1 A 1	30.0%	–	30%
2 A 2	30.0%	–	30%
3 A 1 + A2	50.0%	–	
4 A 3	15.0%	–	3%
5 A 4	10.0%	–	2.50%
6 A 5	15.0%	–	2.00%



7	A 6	10.0%	–	1.00%	–		
8	A3 + A4 + A5 + A6	15.0%	–		–		
9	A 7	20.0%	–	10%	–		
10	A 8	20.0%	–	10%	–		
11	A 9	10.0%	–	2%	–		
12	A7+A8+A9	20.0%	–				
13	A 10	25.0%	–	10%	—		
14	A 11	90.0%	–	30%	–		
15	A 12(ფული სალაროში)	100.0%	–	3%	–	10%	–
16	A 12(საბანკო დაწესებულებები)	100.0%	–	20%	–		

\* სალაროში (სალაროთა ერთობლიობაში) განთავსებული ფულადი სახსრების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს „ინვესტირებისათვის განკუთვნილი სადაზღვევო რეზერვების ოდენობის” 3%-ს, მაგრამ არაუმეტეს 100 000 (ასი ათასი) ლარს“.

გენერალური დირექტორი (დირექტორი) \_\_\_\_\_

(სახელი, გვარი)

ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი \_\_\_\_\_

(სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი)

## მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სამსახურის უფროსი

ლაშა ნიკოლაძე

